

## მ ა ნ ფ რ ე დ ი

პირველი მოქმედება  
სცენა პირველი  
გოტიური დერეფანი.-შუალამე

### მ ა ნ ფ რ ე დ ი (მარტო)

დროა სანათის შევსებისა. თუმცა ამოაშრობს  
ჩემი სიფხიზლის ხანგრძლივობა მაშინაც იმას.  
ჩემი თვლემა ხომ-თუ კი მე ვთვლემ-ძილი არ არის,  
იგია მხოლოდ შეუპოვარ ზრახვათა დენა,  
რომლის დაძლევა და შეწყვეტა არ შემიძლიან.  
გულში დარაჯი მყავს ფხიზელი; თვალებსა ვზუჭავ  
მხოლოდ მისთვის, რომ თვალთახედვა მივმართო  
შიგნით.

საკვირველია, რომ აქამდე არ დამიკარგავს  
ადამიანის მსგავსებანი, სახე იმისი,  
რომ აქამდისინ ცოცხალი ვარ. მაგრამ ნალველი  
ხვედრია ბრძენთა, ის ცოდნაა, და ვინცა იმით  
გულგავსილია, მას ტანჯვაში უნდა შეეცნო,  
რომ ხე ცოდნისა სიცოცხლის ხე არა ყფოფილა.  
ფილოსოფია, დედამიწის ყოველი სიბრძნე,  
ყოველი ნივთის იდუმალი საკვირველება,  
მე ავითვისე, დაუფმონე გონებას ჩემსას;  
მაგრამ ნაყოფი? მიტაცებდა ქმნა სიკეთისა,  
და შემხვედრია მეც სიკეთე სხვებისგან წილად,  
მყოლია მტერი, ჩამიშლია მისი ფანდები,  
და ხშირად იგი მოდრეკილი მინახავს ჩემს წინ;  
მაგრამ ნაყოფი? შემძლეობა, ვნებათა ღელვა,  
ბოროტებანი, სიკეთენი-ეს ყველაფერი,  
რაც სხვებს აღელვებს, იმგვარადვე უქმია ჩემთვის  
ვითარცა წვიმა ქვიშისათვის-იმა წამიდან,  
რომელიც ჩემთვის გარდაიქცა საბედისწეროდ.  
შიში რა არის, მე არ ვიცი, დამწყევლეს თითქოს,  
რომ არასოდეს არ ვიცოდე რას ნიშნავს გულში  
თრთოლვა იმედის, სიყვარულის, ან სურვილისა.  
მაგრამ საათმა დაჰკრა უკვე.

— ფარულნო ძალნო.

თქვენ, ვინც მსოფლიოს უნაპიროს იდუმალ ჰმართავთ,  
ვისაც ვეძებდი დღის ნათელში და ღამის ჩრდილში,  
თქვენ, უფაქიზეს სტიქიონში მოფარვატენი,  
შემოჰხვევიხართ დედამინას ყოველის მხრიდან.  
თქვენთვის ერთია სათარეშოდ მთის მწვერვალები,  
ქვესკნელთ ჯურღმულნი და სიღრმენი ოკეანეთა.  
მე თქვენ მოგიხმობთ იმ თილისმის სახელით, რამაც  
თქვენზე უფლება მომანიჭა: გამომეცხადეთ! (სიჩუმე)  
ხმა არსაიდან... მაშ მოგიხმობთ მისის სახელით,  
ვინც მეუფება განაგრცელა თავისი თქვენზე  
და ვის წინაშე თქვენ განიცდით შიშისგან ცახცახს-  
იმა უკვდავის ბრძანებითა გამომეცხადეთ! (სიჩუმე)  
ხმა არსაიდან... მიწისა და ჰაერის სულნო,  
სად გაექცევით ჩემს თილისმას: ძალით, რომელიც  
უმეტესია სხვა ძალებზე,-რომელიც გაჩნდა  
დალუპულ ქვეყნის ცეცხლმოდებულ ნამსხვრევის პირზე,  
იმ მკვდარ ცთომილზე, საუკუნოდ რომ უწერია  
დაუსრულებელ სივრცეებში უმიზნო ლტოლვა,-  
წყევით, თავზე რომ დამტეხია და სულს მიხუთავს.  
აზრით, რომელიც ჩემში სუფევს და ირგვლივ ყველგან,  
მე მოგიწოდებთ ჩემს წინაშე! გამომეცხადეთ!  
(დერეფნის ბნელ კუთხეში გამოჩნდა უძრავი ვარსკვლავი და გაისმის მომღერალი ხმა).

#### პირველი სული

მოკვდავო! მესმა ძახილი შენი  
და ვარსკვლავის სხივს ჩამოვყევ ფრენით.  
ოქრონაშენი და დიდებული  
სასახლეები მზით ანთებულნი,  
სურნელოვანი სამყოფი ამო  
დავაგდე შენის თილისმის გამო,  
როცა საღამო გამეფდა ნელი.  
მოკვდავო, რა გსურს?-ბრძანებას ველი.

#### მეორე სული

ცად აზიდულა მონბლანი,  
მთების მეუფე სრული,  
ყინულით გვირგვინ დადგმული,  
ღრუბლებით პორფირცმული.  
ტანზე ტყეები ასხია,  
და ხეობათა ზევით

მძიმე ზვავების ქუხილი  
მას ხელთ უპყრია ძლევიტ.  
ძირს მიცურავენ ყინულნი

საუკუნოვან დენით;  
თუ მე ვუბრძანე, უფსკრულში  
გადეშვებიან ფრენით.  
ვარ მთების მკაცრი ბატონი:  
ერთი რომ დავძრა ენა,  
მათ ძირიანად შევარყევ,-  
ვინ ხარ, რომ მიხმობ, შენა?

მესამე სული

იქ, სადაც მეფობს დუმილი,  
ლურჯად მთვლემარე ზღვაში,  
სად მარგალიტებს ინყობენ  
სირინოზები თმაში,  
სადაც უსხივო წყვდიადში  
ბინადრობს გველი ზღვისა,  
ქარიშხალივით მომანყდა  
გუგუნნი შენის სმისა:  
მარჯანის ტურფა სასახლე  
მან შემირცია იქ მე.  
აჰა, მოველი ზღვის სული,-  
მოკვდავო, რისთვის მიხმე?

მეოთხე სული

სადაც ვულკანის ფუძე მარხია  
ჯურღმულში-ქვევით,  
და მძიმე ლავა ცეცხლმოდეხული  
გუგუნებს რყევით,  
სადაც ანდები მინის ნიაღში  
ფესვებით ჩადის,

მწვერვალებით კი აყუდებულა  
ამაყად ცამდის,  
იქა ვბატონობ და იქ მოვკარი  
ყური შენს ხმასა.  
აჰა, მოესულვარ შენს წინ, მოკვდავო,  
მიბრძანებ რასა?

მ ე ხ უ თ ე ს უ ლ ი

ვარ ქარიშხალთა ბატონი,  
ვარ მე ქარების სული,  
ელვებს და ქუხილს ვარლვევდი  
შენს ხმაზე წამოსული.  
ოკეანეზე დამჭირდა  
გრიგალის ფრთების შველა:  
რაც იქ ხომალდი ვიხილე,

დაილუპება ყველა.

მ ე ე ქ ე ს ე ს უ ლ ი  
სული ღამისა გელოდები წინაშე მდგარი,  
ჩემს სანამებლად რად გააღე სინათლის კარი?

მ ე შ ვ ი დ ე ს უ ლ ი  
მე განვაგებდი ვარსკვლავსა შენსა  
მაშინ, როდესაც მინა გამჩენსა  
ჯერ არ შეექმნა. იგი, ნათელი,  
ნორჩი, სპეტაკი, როგორც სანთელი,  
სამყარო ტურფა და მოცინარი,  
მეფურ დიდებით ცაში ნდინარი,  
სხვა ვარსკვლავთათვის ჩრდილის მფინარი,  
ბოლოს ჩაჰქრა და, ისე ვით ლეში,  
დაეხატება სივრცეში ბნელში.  
შენ ხარ მის ნიშნით დაბადებული,  
და გინდა ვიყო შენი ხლებული,  
წამს მორჩილება დადევი ვალად,  
მაგრამ ბატონად გექცევი კვალად.  
ძეო მიწისავე, მაუნყე მალე,  
წინაშე მოსვლა რად დამავალე?

შ ვ ი დ ი ვ ე ს უ ლ ი ე რ თ ა დ  
მოვედით: მინა, ზღვა, ჰაერი, გრიგალი, მთები,  
ღამის წყვდიადი და ვარსკვლავი შენის ბედისა.  
ყველამ ვიკისრეთ შენს წინაშე მოხრა ქედისა:  
რა გინდა ჩვენგან, მიწის ძეო? მორჩილი ვხდებით.

მ ა ნ ფ რ ე დ ი  
დავინყება.

პ ი რ ვ ე ლ ი ს უ ლ ი  
რის? ვისი? რისთვის?  
მ ა ნ ფ რ ე დ ი

თქვენ იცით: მისი,  
რაც კი ფარულად მიქცეულა აი ამ გულში.  
ამოიკითხეთ-მე არ ძალმიძს გადმოგცეთ ენით.

ს უ ლ ი  
ჩვენ შეგვიძლია მოგცეთ მხოლოდ რაც ჩვენს ხელთ არის:  
ვთხოვე გვირგვინი, ქვეშევრდომნი, გაბატონება.  
მთელს ქვეყანაზე, - მოისურვე, და მბრძანებელი  
გახდები ყველა სტიქიონთა, რომელთა მიმართ  
ჩვენ მეუფენი ვართ უსაზღვრო, ეს ყველაფერი  
შეგისრულდება.

მ ა ნ ფ რ ე დ ი

დავინწყება, თავდავინწყება.

მპირდებით ბევრის შესრულებას და ნუთუ ერთი ჩემი სურვილის შესრულება არ შეგიძლიან?

ს უ ლ ი

არ შეგიძლიან. მაგრამ ეგებ... სიკვდილი ეგებ?

მ ა ნ ფ რ ე დ ი

მასში თუ გნახავ დავინწყებას?

ს უ ლ ი

უკვდავ არსთათვის

უცნობი არის დავინწყება. ჩვენ ვართ არსება მარადიული, და მომავალს ჟამი წარსული ჩვენთვის აწყობი უერთდება - აი ეს არის პასუხი ჩვენი.

მ ა ნ ფ რ ე დ ი

თქვენ დამცინით. მაგრამ იმ ძალით, რომელმაც ჩემს წინ მოგიყვანათ, მე მბრძანებელი შევიქმენ თქვენი. დაიხსმეთ თქვენ ეს, მონებო! უკვდავი სული, - ნაღვერდალი პრომეთეოსის ჩემში გიზგიზით რომ ანთია, - იმდენადვეა ყოვლის შემცველი და ძლიერი რამდენად თქვენ: თუმცა სხეული მის გარშემო მტვერია მიწის; პასუხი, თორემ რისხვა ჩემი დაგატყდათ თავზე!

ს უ ლ ი

გავიმეოროთ შეგიძლიან პასუხი მხოლოდ შენსავ სიტყვებში მოქცეული.

მ ა ნ ფ რ ე დ ი

რომელ სიტყვებში?

ს უ ლ ი

წელან გვითხარი, რომ შენ ჩვენი თანასწორი ხარ;  
ჩვენთვის სიკდილი არ არსებობს.

მ ა ნ ფ რ ე დ ი

მაშ მე ამაოდ  
მომიწვევიხართ! თქვენ არ ძალგიძით, ანდა არა გსურთ  
რომ დამეხმაროთ.

ს უ ლ ი

მოითხოვე რაც ჩვენს ხელთ არის:  
გვთხოვე გვირგვინი, განდიდება, ან დღეგრძელობა...

მ ა ნ ფ რ ე დ ი

წყეულიმც იყოს! რაღად მინდა მე დღეგრძელობა?  
დღენი ისედაც გრძელდებიან! მოშორდით, კმარა!

ს უ ლ ი

ნუ ჩქარობ, კიდევ მოიფიქრე, ეგებ რაიმეს  
რის შესრულებას შევძლებთ ჩვენა, არ დაეკარგოს  
ღირებულება ჯერ შენს თვალში.

მ ა ნ ფ რ ე დ ი

ო, არა! თუმცა  
განშორების წინ მე მსურს თქვენი ვიხლო სახე,  
ხმები მომესმის ნალვლიანი და უტკბილესი,  
როგორც მუსიკა წართაზედან, - მე ვხედავ ახლა  
დიდი ვარსკვლავის უმოძრავო ელვარებასა,  
სხვას კი არაფერს რომელიმე ან ყველა ერთად  
მომიახლოვდით, რომ ვიხილო მე თქვენი სახე.

ს უ ლ ი

სახე რაიმე ჩვენ არა გვაქ - ჩვენა ვართ მხოლოდ  
სულნი ხვადასხვა სტიქიონთა, მაგრამ ისურვე  
რა სახეც გინდა მიწიერი მივიღებთ იმას.

მ ა ნ ფ რ ე დ ი

სახე არ არის ქვეყანაზე, რომ ჩემში იმან  
გამოინვიოს სიხარული ან აღშფოთება.  
მაგრამ მიიღოს თვენთაგანმა უძლიერესმა  
ფორმა, რომელიც მას შეჰფერის.

მ ე შ ვ ი დ ე ს უ ლ ი  
(გამოჩნდება მშვენიერი ქალის სახით) აჰა, შეხედე!

მ ა ნ ფ რ ე დ ი

ღმერთო თუ კი, შენ მოცვენება არა ხარ მტკნარი,  
ან გაგიჟება, ან სიზმარი, მე შემოძლიან  
განმეორებით განვიცადო ბედნიერება.  
მომიახლოვდი, რომ ისევე... (ჩვენება ჰქრება)  
ო, გულო ჩემო!

(დაეცემა უგრძნობლად. მოისმის ხმა, რომელიც შემდეგ შელოცვას მღერის).  
ხმა

მაშინ, როდესაც მთვარის ქვეშ  
გაინაბება წყალი  
და საპლავებზე ცეცხლების  
აბრიალებდა ალი  
როდესაც ჭოტი გაჰკივის,  
ვარსკვლავი ცასა სწყდება,

როდესაც ტყეებს მოიცავს  
თვლელა და გარინდება,  
თილისმურ ძალით გაკისრებ  
ჩემს მორჩილებას სრულსა.  
შენ ეუფლება ღრმა ძილი  
სიფხიზლე რჩება სულსა  
ბევრი ბოროტი ჩვენება  
სწრაფად ჩაგივლის წინა  
იდუმალ ძალთა წიაღში  
მოქცეული გაქვს ბინა.  
ვერ დაივინყებ შენ იმათ  
თავს ვერ იხილავ ცალად.  
გარს მოგეხვევა სუდარად  
ჩემი თილისმის ძალა  
რომ იცქირები გარშემო  
შენ ჩემს დანახვას ელი  
შენ ტანში გიდულშ ჩემს მიერ  
აღძრული ჟრუანტელი.  
როდესაც ბოლმა შეგიპყრობს

წყვდიადს მიაპყრობ თვალსა  
და გაოცდები თუ ჩემსას  
ვერსად შენიშნავ კვალსა  
უნდა დამალო ყველასგან  
ტანჯვა-წამება შენი  
უკვე წარმოსთქვა წყევის ხმამ  
თავისი განაჩენი  
ქარის ხმა შენთვის იქნება  
ამიერიდან კენესა  
კაეშნით მოცულ ღამეში  
შენ მოინატრებ მზესა  
მაგრამ როდესაც მზის შუქით  
გაიფანტება ბნელი  
შენ გაგიხდება სიბნელე  
ისევ სანატრელი  
შენი ცბიერი ცრემლები  
მაქვს მე ვით სანამლავი  
შენი სასტიკი გულიდან  
სისხლი გავილე შავი  
ბაგეზე ღიმი დაგაკალ\_  
გულთა მხიბლავი გველი  
შხამი გაქვს ყველა შხამებზე  
უმეტეს საშინელი  
ფარისევლურის მოქცევით  
გრძნობებით გამომშრალით  
სინაზის გამომჩენელის  
მაგრამ ბოროტის თვალთ  
მოძმეთა დაუნდობლობით  
მათთვის მოწვდილის შხამით,-  
წყვევას და კრულვას გიგზავნი  
შენ ყოველივე ამით.  
გადმოიღვარა შენს თავზე  
როგორც შენი ზნის ფასი  
ტანჯვა-წამებით აღსავსე  
საბედისწერო თასი  
ვერ მოიქარვებს ტკივილებს  
სული მკაცრი და მქისი  
მუდამ სიკვდილის მონატრულს  
შიში გეკნება მისი  
დანყევლილი ხარ შეგბორკავს  
ჩემი სიტხვების ხუნდი  
სულ იტანჯე და ტანჯვაში  
დასჭკნი და დაძაბუნდი.



## სცენა მეორე

(მთა იუნგფრაო. დილა. მანფრედ მარტო, კლდეებზე)

### მ ა ნ ფ რ ე დ ი

თვალს მიეფარნენ სულნი ჩემგან გამონვეულნი.  
მეცნიერებამ იდუმალმა მე ვერ მშველა,  
არ მომეხმარა ხელოვნება მე თილისმისა  
რადლა ვინამო ან ძალები იმქვეყნიური,  
თუკი წარსულზე არ ვრცელდება უფლება მათი?  
ხოლო მომავალს მე რას ვაქნევ, სანამ წარსული  
არ შთაინთქება სიბნელითა? მშობელო მინა!  
შენ, ვარდისფერო განთიადო, მაღალნო მთანო  
რად ხართ ესოდენ მშვენიერი? მე სიყვარული  
არ ძალმიძს თქვენი. შენც აგრეთვე მსოფლიოს თვალო,  
სასიყვარულოდ გახელილო სამყაროსთვის  
მხოლოდ მარტო მე არ მანიჭებ შენსა ნათელსა!  
კლდენო პატალნო სადაც ახლა საშინელს უფსკრულს  
ჩავსჩერებივარ და სიმღრმეში ჩანჩქერის თავზე,  
ასწლოვან ფიჭვებს ბუჩქებივით დალეულს ხედავ,  
მითხარით, რატომ ვიგვიანებ რას ელოდები,  
როდესაც ერთი მოძრაობა ჩემს გულს დაქანცულს  
სამარადისოდ დაასვენებს ქვის სარეცელში?  
იგი მეძახის- მე არ მინდა ვუსმინო ძახილს,  
მაკრთობს მე იგი, მაგრამ მუხლი უდრეკელია:  
არსებობს რაღაც უცნაური ძალა, რომელიც  
ჩვენ გვაიძულებს, რომ ვიცოცხლოთ, სიცოცხლე თუ კი  
ნიშნავს იმას, რომ დაბობლავდე დაბლა განრთხმული  
და თვითვე იქვე სასაპლაოდ თავისი სულისა,  
როცა უბრალო სურვილიც კი არ შეგრჩენია,  
რომ შენი თავი გაამართლო საკუთარს თვალში!

(გადაივლის არწივი)

დრთოსანთ მეუფევ, გულზვიადო ეთერის შვილო  
ნეტავ შემეძლოს რომ შევიკმნე შენი ნადავლი  
შენის ბარტყების ნისკარტებით საგლეჯი ხორცი!  
უკვე წერტილად გარდაქცეულს ძლივს გაარჩევს თვალი  
მაშინ, როდესაც შენ ყოველი მიმართულება  
დაცხრილული გაქვს გამჭრიახის თვალების ისრით .  
რა წარმტაცია ეს ქვეყანა რა მშვენიერია!  
რარიგ მეფურის ბრწყინვალეობით გავსილა იგი  
მის მოვლენებში რაოდენ სჩანს სიდიადე!

მხოლოდ ჩვენ თავი მის გვირგვინად რო ჩავვითვლია,  
ჩვენ- შენაერთი მტვერისა და ღვთის ბუნებისა,  
მტვერს და ღვთაებას ერთნაირად დაშორებული, —  
ორმაგ არსებით ჩრდილს ვაყენებ მის ნათელ სახეს, —  
მუდმივი ლტოლვით ხანცის მიმართ, ეხლა მტვერისადმი,  
ვიდრე დასასრულ გამარჯვებას არ ნახავს მტვერი,  
ვიდრე დასასრულ ჩვენ იმად არ გადავიქცევით  
რომლის სახელის ხსენებაც კი ვერ გაგვიბედავს  
და რა იც შიშით სულს გვიხუთავს... ჩუ, სალამური!

(შორიდან მოისმის მწყემსის სალამურის ხმა)

პატრიარქალურ სიტკბოებით გავსილნი ხმანი —  
პატრიარქალურ დღეთა სვლა აქ არ ნიშნავს ზღაპარს, —  
ირგვლივ ჰაერში იშლებიან, რომ შეერიონ  
ჯოგების ზარების მონკარუნეს. მე ვუსმენ იმათ:  
ნეტამც მაქცია მიახლოების უხილავ სულად,  
მათ უსხეულო ჰარმონიად ბედნიერებად,  
მათთან ერთად რომ იბადება ცოცხლობს და კვდება:

(ქვემოდან ამოდის მონადირე)

მონადირე

რა იქნა არჩვი? აქ მოვკარი მე იმას თვალი  
მოულოდნელად გაიღვა და გაჰქრა უცებ!  
ვშიშობ, რომ ჩემი დგევანდელი შრომა ამდენი  
გამოსყიდული არ იქნება. მაგრამ ვინ არის,  
იქ რომ დამდგარა? მონადირე არ არის ვგონებ,  
თუმც ამოსული ისე მაღალი, რომ აქ ამოსვლა  
საუკეთესო მონადირეს თუ შეუძლიან.  
ჩვენი მდიდრული მოსასხმი ვაჟკაცურ ტანზე  
ის ამაყია და ეტყობა რომ უნდა იყოს  
თავისუფალი ხალხის შვილი. მივიდე ახლოს.

მანფრედი

(ვერ ამჩნევს მონადირეს)

ასე უდროოდ გათეთრება მწვანე ფიქრებით,  
მსგავსად ამ პიჭვთა უბადრუკის ნამსხვრევებისა,  
ზამთრის ერთ ქარიშხალს რომ დაუღუნწნია!  
მე ამნაირი უნდა ვიყო მაშინ როდესაც  
გულის ტკივილით მაგონდება სულ სხვა დღეები  
უნდა ვატარო დაღვრემილი შუბლის ნაოჭი  
არა წლებისა- მარტოოდენ წუთების ნაშთი  
მარადისობა გარდაქცეულ საშინელ წუთთა!  
ზვავნო, ზოდებო უზარმაზარო ყინულებისა,

თავზე დამატყდით და შთანთქმევით სიცოცხლე ჩემი!  
თქვენი გრიალი და გუგუნი გაისმის ირგვლივ,  
მაგრამ გზადაგზა ანადგურებთ თქვენ იმას მხოლოდ.,  
რასაც სიცოცხლე უხაიან: გაფურჩქენილ ტყეებს,  
ველს აყვავებულს და უწყინარ მოსახლეობებს.

მონადირე

უკვებურუსი წამოვიდა ქვემოდან მაღლა.  
ვეტყვი, რომ უკან დაბრუნების დრო არიის ანი.  
თორემ შერჩება საუკუნოდ იგი ამ ადგილს.

მანფრედი

იბუდებს ყინულებში. სიღრმიდან მოდის  
სუნი დამწვარის გოგირდისა, და მე ნელინელ  
შემომეფინა დაფლეთილი ღრუბლის ქულები,  
ისე ვით ქაფი ჯოჯოხეთის ოკეანისა,  
რომლის ტალღები ძირს უთხრიან სიცოცხლის ნაპირს,  
ნაპირს დატვირთულს ცოდვილთაგან როგორც რიყითა.  
მე უკვე სუნთქვა შემეხუთა

მონადირე

ძლივსლა მაგრდება:

მიახლოება საჭიროა სიფრთხილით თორემ  
გადიჩეხება ნაპრალებში.

მანფრედი

მძიმე ქულით

ოდესღაც მთანი ძირს დაინთქენ და მთლად დაფლეთეს  
ღრუბელი მუქი, შეარყიეს ალპი ზვიადი  
მოსრეს ქალები ნანგრევებით გაავსეს ხეენი  
და დაბნელებულ მტვრად გაჰფანტეს მათ მდინარენი  
ასე დაემხო როზენბერგი. ნეტავი მაშინ  
მე რომელიმე მის კალთაზე მდგომოდა ფეხი!

მონადირე

ფრთხილად ძმობილო! გაგათავებს ერთი ნაბიჯი  
ღვთის გულისათვის გამოშორდი ნაპრალს აქეთკენ!

მანფრედი

(მონადირის ხმა ვერ გაიგონა)

რა დამშვიდებით ვიძინებ მე იმ საწოლში  
არ გახდებოდა ჩემი ნეშთი სათრევი ქართა.  
და ამ კლდეებზე დასაგლეჯი. მაგრამ ახლა კი  
მშვიდობით ცანო! ნუ მიცქერით, ო, საყვედურით!  
ჩემთვის არა ხართ გაჩენილნი. დედაო მიწავ !  
აჰა მიმიღე !

(გაიწეეს კლდიდან გადასავარდნად მაგრამ მონადირე მოულოდნელად სტაცებს ხელს

და შეაჩერებს)

მანფრედი

მე მტკივა გული უმძიმესად ნუ მიჭერ ხელებს  
დავსუსტდი მეტად- ტრიალებენ გარშემო მთები  
თვალთ მიბნელებდა. შნ ვინა ხარ, ან ან აქ რა გინდა ?

მონადირე

ჰო გეტყვი გეტყვი! მაგრამ ჯერ კი ჩავიდეთ დაბლა.  
მთა უკვე ნისლში იძირება-დამეყრდნე მკლავზე,  
ჩამოდგი ფეხი, აი აგერ ბუჩქს ჩაეჭიდე  
ქამარში ხელი გამიყარე მსუბუქად!-აგრე  
ახლა თამამად-მივალწიეთ თითქმის სახლამდე  
საცაა ბილიკს მივადგებით ლელისგან გაჭრილს  
გამოხტი მარჯვედ არ ჩავარდე, ჰო, აგრე-ყოჩაღ!  
შენ არც ერთ მთიელს არ დუთმოვ როგორც გეტყობა!  
(ნელა ჩამოდიან კლდეებზე)

მოქმედება მეორე

სცენა პირველი  
(ქოხი ბერნის ალპებში)

მონადირე

არა,ვერ ნახვალ ერთხანს კიდევ-ჯერ საშიშია  
შენი მგზავრობა:დაღალული ხარ მეტისმეტად;  
როგორც სხეული, ისე სული დასუსტდა შენი  
აი, როდესაც დაისვენებ,წავიდეთ ერთად.  
მაგრამ საითკენ?

მანფრედი

სულ ერთია.გზა ვიცი თავად;  
აქედან უკვე მე გამყოლი არა მჭირდება.

მონადირე

სახით გეტყობა, უნდა იყო ერთი ნათგანი,  
რომელთა ციხე-დარბაზი ისე პირქუშად  
გადმოჰყურებენ კლდეებიდან დაბლობში ქოხებს.  
მითხარი,შენი რომელია?თუმც იშვიათად  
მქონია ხოლმე მე შემთხვევა,რომ გავმთბარიყავ  
მათ შებნელებულ ოთახებში ბუხრის წინაშე  
ლვინის გარშემო, ვასალთ შორის, მაგრამ მთებიდან  
იმ დარბაზის ბჭეებისაგან წასულ ბილიკებს  
მე კარგად ვიცნობ ბავშვობითვე.შენი სად არის?

მანფრედი  
რად გინდათ ,ეგ ხომ სულ ერთია?

მონადირე  
ჰო,კარგი, კარგი.

ნუ ილუშები ,მაპატიე, რომ შეგეკითხე.  
მოდით გავსინჯოთ ჩვენ ეს ღვინო, ძველისძველია!  
მას არაერთხელ გაუთბივარ ჩვენს ყინულებში,  
და აბა ახლა შენ გაგათბოს. აჰა, გადაჰყარ!

მანფრედი  
შორს, შორს! სისხლია თასის პირზე! უფალო ღმერთო!  
ნუთუ არასდროს დედამინა არ შთანთქავს იმას?

მონადირე  
სისხლი? რა სისხლი? გელანდება.

მანფრედი  
ო, ჩვენი სისხლი!  
სისხლი, რომელიც სჩქეფდა ჩვენის მამების გულში  
და ჩვენს გულებში, ოდეს ჩვენი ახალგაზრდობა  
ცოდვით აღსავსე სიყვარულის ალში იწოდა.  
დაინთხა იგი და, ამჟამად ზეანურვილი,  
ჰლებას ღრუბელსა, რომელიც მე მაშორებს იმ ცას,  
სად შენ არა ხარ და არასდროს მე არ ვიქნები.

მონადირე  
გეტყობა, რომ ხარ უბედური ადამიანი.  
შენი სიტყვებიც მეტისმეტად უცნაურია.  
მაგრამ გაივლის შენი ტანჯვა,თუ კი გეყოფა  
შენ მოთმინება, სიმშვიდე და რწმენა ღვთისადმი.

მანფრედი  
ეჰ, მოთმინება! ეს სიტყვა ხომ მოგონილია  
სახედართათვის, და სრულიად ის არ შეჰფერის  
მტაცებელ ფრინველს! სჯობს ასწვლო ეგ შენისთანებს  
ჩემი ჯიში კი სულ სხვა არის.

მონადირე  
და მადლი უფალს!

არ ვისურვებდი უკვდავ სახელს ვილჰელმ ტელისას,  
ნაცვლად რომ გავხდე ის, რაც შენ ხარ, მაგრამ იცოდე,  
აღშფოთებაში ხსნა არ არის, ეგ მძიმე ტვირთი  
შენ მოთმინებით უნდა ზიდო.

მანფრედი  
ვზიდავ კიდევაც.  
აი, ხომ ხედავ, ცოცხალი ვარ.

მონადირე  
რა სიცოცხლეა  
შენი სიცოცხლე - ეგ თრთოლვაა ავადმყოფური.

მანფრედი  
მე გეუბნები, რომ ვცოცხლობდი მრავალი წელი  
და გრძელი წლები, მაგრამ მაინც რა გამოჩნდება  
იგი იმასთან შედარებით, რაც მიწერია:  
მე უთვალავი საუკუნე უნდა ვიცოცხლო,  
და უნდა მკლავდეს თან წყურვილი მე სიკვდილისა  
ჩაუქრობელი და ამო!

მონადირე  
როგორ! მოხუცი  
შენ სულ არ სჩანხარ, საშუალო ხნის თუ იქნები.

მანფრედი  
ჩვენი სიცოცხლე, შენ გგონია, წლებზე ჰკიდია?  
არა, ჩვენზევე უფრო მეტად. სიცოცხლე ჩემთვის  
განუსაზღვრელი უდაბნოა, ყრუ და ველური  
ნაპირი ზღვისა, სადაც მხოლოდ შიშველ ქვიშაზე  
ტალრები კვნესით გადმოჰყრიან დამსხვრეულ ანძებს,  
მწარე ბალახებს, დანხვრჩალ გვამებს და ლოდებს ქვისას!

მონადირე  
აჰ, ეს უტუოდ შეშლილია, და მეთვალყურე  
თუ არ ეყოლა, არ ივარგებს.

მანფრედი  
ო, ნეტამც მართლა!  
მართლაც ხომ ბოძა იქნებოდა, რასაც მე ვხედავ.

მონადირე  
სთქვი, რასა ხედავ, ან გგონია, რომ ხედავ თითქოს?

მანფრედი

მე ვხედავ ჩემს თავს, და აგრეთვე შენ, მთების შვილო,  
შენს წყნარ ცხოვრებას, სახლს უბრალოს, სტუმართმოყვარეს,  
შენს სულის მორწმუნეს, თავისუფალს, სიმტკიცით სავსეს,  
რადგანაც იგი უმნიშვნელოა და უცოდველი.  
ვხედავ შენს შრომას, გაბრწყინებულს გამბედაობას,  
შენს ჯანსაღობას, გულმაგრობას და იმედებსა,  
რომ შენ დასასრულ გელირსება სიბერე მშვიდი,  
მოსვენებული დღეები და შემდეგ სამარე  
ვარდებითა და შვილისშვილთა ხსოვნით შემკული.  
აი ეს არის შენი ხვედრი. ჩემი კი - მაგრამ  
ჩემზე რა ითქმის - ყველაფერი მკვდარია ჩემში!

მონადირე

მამ მე ბედილბალს გამიცვლიდი, რომ საქმე იქნეს?

მანფრედი

არა, ძმობილო, მე ბოროტი არა მსურს შენთვის,  
არ მოვინდომებ გაუცვალო მე ვინმეს ბედი,  
თუმც ვიტანჯები, მაგრამ მაინც გადამაქვს კიდეც  
ის, რაც სხვებისთვის იქნებოდა აუტანელი,  
არა თუ ცხადად, სიზმარშიც კი.

მონადირე

მერე ამგვარი

კეთილშობილი და მაღალი სულის პატრონი,  
შეიძლებოდა, შენ ბოროტი რომ ყოფილიყავ  
და გულგართული სისხლიანის შურისძიებით?

მანფრედი

ო, არა, არა! მე ვილუპები მხოლოდ ისეთებს,  
ვისაც ვუყვარდი და მხურვალედ ვინც მე მიყვარდა,  
მტრებს კი მუდამ თავდაცვის დროს ვანადგურებდი.  
მომსპობი იყო სიყვარული და ხვევნა ჩემი.

მონადირე

ვთხოვ, რომ უფალმა მოგანიჭოს მშვიდი ცხოვრება  
და სინანულის ბედნიერი ცრემლები თვალზე!  
მე კი ყოველთვის ჩემს ლოცვებში მოგიხსენიებ.

წყარო:

<http://publish.dlf.ge/vaxtangvi/baironi/poemebi.html>